

შპს თბილისი ჰილს გოლფ მენეჯმენტი

სარჩევი:

ფინანსური ანგარიშგება 2021 წ.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7-20

შპს თბილისი ჰილს გოლფ მენეჯმენტი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრისთვის

ფინანსური მდგომარეობის უწყისი		12/31/2021	12/31/2020	12/31/2019
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები	6	1,524,031	1,813,182	2,125,313
	ძირითადი საშუალებები			
	საინვესტიციო ქონება	-	-	-
	ბიოლოგიური აქტივი	-	-	-
	ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	-	-	-
მოკლევადიანი აქტივები		1,524,031	1,813,182	2,125,313
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	7	52,263	47,975	350,781
	8	104,873	71,071	39,456
	9	712,139	621,739	622,997
	მისაღები დივიდენდები და პროცენტები	-	-	-
მთლიანი აქტივები		869,276	740,785	1,013,234
		2,393,307	2,553,967	3,138,547
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	100		100	100
	გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1,215,086	1,483,026	1,703,984
	გადაფასების რეზერვი	-	-	-
ვალდებულებები		1,215,186	1,483,126	1,704,084
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	10	0	0	0

ანარიცხები					
გადავადებული შემოსავალი		-	-	-	-
		0	0	0	0
მოკლევადიანი ვალდებულებები					
მოკლევადიანი სესხები		-	-	-	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	11	1,319,796	1,244,832	1,324,170	
საგადასადო ვალდებულებები	12	(141,675)	(173,991)	110,293	
გადასახდელი პროცენტი		-	-	-	-
გადასახდელი დივიდენდი		-	-	-	-
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		1,178,121	1,070,841	1,434,463	
		2,393,307	2,553,967	3,138,547	
		0	0	0	0

ხელმოწერი პირები:



სახელი გვარი - ფინანსური დირექტორი

სახელი გვარი - მთავარი ბუღალტერი

30 სექტემბერი, 2022

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 7-22 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს თბილისი ჰილს გოლფ მენეჯმენტი

2021 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგება

		2021	2020
ამონაგები	13	3,919,620	2,618,830
თვითღირებულება	14	(893,236)	(369,273)
საერთო მოგება		3,026,384	2,249,557
სხვა შემოსავლები			
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	15	(3,304,469)	(2,479,390)
მიწოდების ხარჯები			
სხვა ხარჯები			
საოპერაციო მოგება		(278,085)	(229,833)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	16	10,148	8,873
ფინანსური ხარჯი - წმინდა			
მოგება დაბეგვრამდე		(267,937)	(220,960)
მოგების გადასახადი			
წმინდა მოგება		(267,937)	(220,960)
სხვა სრული შემოსავალი:			
მთლიანი სრული შემოსავალი		(267,937)	(220,960)

ხელმოწერი პირები:

სახელი გვარი - ფინანსური დირექტორი

სახელი გვარი - მთავარი ბუღალტერი

30 ოქტომბერი, 2022

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 7-22 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს თბილისი ჰილს გოლფ მენეჯმენტი
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2019 წლის 31 დეკემბერი	100	-	1,703,983	1,704,083
წმინდა მოგება			(220,960)	(220,960)
სხვა სრული შემოსავალი				
პერიოდის სრული შემოსავალი			(220,960)	(220,960)
2020 წლის 31 დეკემბერი	100	-	1,483,023	1,483,123
წმინდა მოგება			(267,937)	(267,937)
სხვა სრული შემოსავალი				
პერიოდის სრული შემოსავალი			(267,937)	(267,937)
2021 წლის 31 დეკემბერი	100	-	1,215,086	1,215,186

ხელმოწერი პირები:

სახელი გვარი - ფინანსური დირექტორი

სახელი გვარი - მთავარი ბუღალტერი

30 სექტემბერი, 2022

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 7-22 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს თბილისი ჰილს გოლფ მენეჯმენტი

2021 წლის 31 დეკემბრისთვის დეკემბრის დასრულებული წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	2021	2020
	GEL	GEL
თანხის მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტისგან მიღებული თანხა	3,608,113	3,077,768
გადახდილი ხელფასები	(1,291,744)	(1,376,711)
გადახდილი გადასახადები	(727,607)	(892,012)
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები	(1,528,873)	(1,110,121)
საოპერაციო საქმიანობის შედეგად მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	59,890	(301,076)
გადახდილი პროცენტი		
წმინდა ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან	59,890	(301,076)
საინვესტიციო საქმიანობა		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(52,996)	0
წმინდა ფულადი ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან	(52,996)	0
ფინანსური საქმიანობა		
სესხების დაფარვა	0	0
წმინდა ფულადი ნაკადი ფინანსური საქმიანობიდან	0	0
წმინდა ცვლილება ფულად ნაკადში	6,894	(301,076)
თანხა საანგარიშო პერიოდის დასაწყისში	47,975	350,781
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულსა და ფულის ექვივალენტზე	(2,605)	(1,730)
ნაშთი წლის ბოლოს	52,264	47,975
	0	0

ხელმოწერი პირები:

სახელი გვარი - ფინანსური დირექტორი
30 სექტემბერი, 2022

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 7-22 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს თბილისი ჰილს გოლფ მენეჯმენტი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერი

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს თბილისი ჰილს გოლფ მენეჯმენტი დაარსდა და დარეგისტრირდა საგადასახადო ორგანოში 2016 წლის 1 აგვისტოს. ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია Skinest Air OU (ს/კ12668192, ესტონეთი), წარმოადგენს კომპანიის 100% წილის მფლობელს.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა წარმოადგენს გოლფის მოედნის ოპერირებასა და სპორტული აქტივობების ორგანიზებას. კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს გარდაბნის რაიონ სოფელ ქვემო თელეთში.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, თავისუფლების მოედანი, N4.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
1 აშშ დოლარი/ ლარი	3.0976	3.2766
1 ევრო/ლარი	3.5004	4.0233

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

საქართველო ავლენს ზრდადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს, რომელიც შეიცავს ვალუტის არსებობას, რომლის კონვერტაციაც ვერ ხდება თავისუფლად სხვა ქვეყნების უმრავლესობაში, შედარებით მაღალი ინფლაცია და ძლიერი ეკონომიკური ზრდა.

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. ამასთანავე საქართველოში მოქმედი კომპანიები დგანან არაერთი გამოწვევის წინაშე, რომელიც გამოწვეულია გაკოტრების კანონების განვითარების საჭიროებით, გირავნობის რეგისტრაციის და აღსრულების ფორმალური პროცედურების არარსებობით და სხვა სამართლებრივი და ფისკალური დაბრკოლებებით. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია, როგორც მისი მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული პოლიტიკაზე, ასევე სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკური გარემოზე.

მენეჯმენტს არ შეუძლია სანდოდ შეაფასოს ფინანსური ბაზრის ლიკვიდურობის შემცირების და სავალუტო ბაზრის გაზრდილი არასტაბილურობის გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ისინი იღებენ ყველა საჭირო ზომას, რომ ხელი შეუწყოს კომპანიის მდგრადობას და განვითარებას არსებულ პირობებში.

3. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით (მსს ფასს).

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში და ყველა ღირებულება დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარად არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფული და ფულის ქვივალენტები

ფული და ფულის ქვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შეყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე მაშინვე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენით ღირებულებას.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

კომპანია არ ფლობს მიწას. ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში:

	სასარგებლო გამოყენების ვადა (წელი)
მანქანა დანადგარები	10
ავეჯი და ინვენტარი	5
სატრანსპორტო საშუალებები	5

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მოსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (ეს არის ბანკში გადასახდელი ფულის დისკონტირებული ღირებულება რომელიც შეიცავს გარიგების ხარჯსაც). სესხების შემდგომი შეფასება

ხდება ამორტიზირებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და ახიარდება ფინანსურ ხარჯად.

სესხები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად, იქამდე სანამ, საწარმოს არ გააჩნია ვალდებულებების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება საანგარიშო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება ტრანზაქციის ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

შემოსავალი

გოლფიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება შეძენილი მომსახურების გამოყენების უფლების გადაცემისას. გოლფის მოედნის ოპერირების შემოსავლის აღიარება ხდება ყოველთვიურად, ხელშეკრულების პირობების თანახმად.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული საგადასახადო შემოსავალი აღარ არის შესაბამისი ფინანსურ ანგარიშებისთვის განახლებული საგადასახადო კოდექსის გამო.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების ღირებულება განისაზღვრება უმცირესით ხარჯსა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება ნორმალური ბიზნესის მიმდინარეობის პირობებში გასაყიდ ფასსა და დასრულებისა და გაყიდვის მოსალოდნელ ხარჯებს შორის სხვაობით. ყოველ ანგარიშგების დღეს, მარაგები შეფასებულია გაუფასურებისთვის. თუ მარაგები გაუფასურდა, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასს გამოკლებული მისი დასრულებისა და გაყიდვისათვის გამზადების ხარჯი. გაუფასურების ზარალი მაშინათვე აღიარდება მოგება-ზარალზე.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებას მომავალ პერიოდში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კოდექსი და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი

წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

5. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში არ გამოვლენილა. შესადარი ინფორმაცია დარჩა უცვლელი წინა სააღრიცხვო პერიოდის შემდგომ.

6. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობები	მანქანა- დანადგარები	ავიჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
31 დეკემბერი 2019	-	-	2,233,609	41,966	437,788	2,713,363
შემოსვლა			20,285	5,058		25,343
გადაფასება						
გასვლა						
31 დეკემბერი 2020	-	-	2,253,894	47,024	437,788	2,738,706
შემოსვლა			28,054	24,942		52,996
გადაფასება						
გასვლა						
31 დეკემბერი 2021	-	-	2,281,948	71,966	437,788	2,791,702
ცვეთა და გაუფასურება						
31 დეკემბერი 2019	-	-	(474,187)	(14,087)	(99,779)	(588,053)
პერიოდის ცვეთა			(241,190)	(8,723)	(87,558)	(337,471)
გასვლა						
31 დეკემბერი 2020	-	-	(715,377)	(22,810)	(187,337)	(925,524)
პერიოდის ცვეთა			(242,638)	(11,951)	(87,558)	(342,147)
გასვლა						
31 დეკემბერი 2021	-	-	(958,015)	(34,761)	(274,895)	(1,267,671)
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2020	-	-	1,538,517	24,214	250,451	1,813,182
31 დეკემბერი 2021	-	-	1,323,933	37,205	162,893	1,524,031

(0)

7. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	31-დეკ-21	31-დეკ-20
თანხა ბანკში	37,772	42,108
თანხა სალაროში	14,491	5,867
შეზღუდული ფულადი სახსრები	-	-
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	52,263	47,975
	0	0

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2021	2020
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	104,873	71,071
გადახდილი ავანსები	0	0
მოთხოვნა დაკავშირებული მხარეებისადმი		
დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხი		
სულ	104,873	71,071
	0	0

9. მარაგები

	2020	2019
ნედლეული და მასალები	0	0
დაუმთავრებელი წარმოება	572,860	529,043
მზა პროდუქცია	139,279	92,696
სულ	712,139	621,739
	0	0

10. გრძელვადიანი სესხები

ორგანიზაცია	სესხის გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	საპროცენტო სარგებელი	ვალუტა	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
				ლ	0	0
სულ სესხები					0	0
ძირი					0	0
პროცენტი					0	0
					-	-
					0	0

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
მიღებული ავანსები		
სავაჭრო ვალდებულებები	83,278	1,020,931
საგადასახადო და სხვა ვალდებულებები სახელმწიფოს მიმართ	1,236,517	223,901
სახელფასო ვალდებულებები	0	0
ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან		
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულება	1,319,796	1,244,832
	0	0

აღნიშნული ვალდებულებების ვადები და პირობები:

- სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხებათ პროცენტი და მათი დაფარვა ხდება ყოველთვიურად ფინანსური წლის განმავლობაში;

გადასახდელ ხელფასებსა და სხვა ვალდებულებებს არ ერიცხებათ პროცენტები და ჩვეულებრივ მათი დაფარვა ხდება 1 თვის ვადაში.

12. საგადასახადო ვალდებულებები

	2021	2020
გადასახდელი მოგების გადასახადი - განაწილებული მოგება		
გადასახდელი მოგების გადასახადი - სხვა		
საშემოსავლო გადასახადები		
დღგ		
ქონების გადასახადი	141,675	173,991
სულ	141,675	173,991
	0	0

13. შემოსავალი

შემოსავალი	2021	2020
შემოსავალი გოლფის ოპერაციებიდან	(1,740,377)	(776,667)
შემოსავალი რესტორნიდან	(739,243)	(402,163)
შემოსავალი გოლფის მოედნის ოპერირებიდან	(1,440,000)	(1,440,000)
სულ შემოსავალი	(3,919,620)	(2,618,830)
	0	0

14. თვითღირებულების ხარჯი

	2021	2020
მასალის ხარჯი	893,236	345,926
სულ თვითღირებულება	893,236	345,926

15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2021	2020
რეკლამის ხარჯები	235,933	27,347
შრომის ანაზღაურება (საერთო-ადმინისტრაციული)	1,201,801	1,297,646
საოფისე ხარჯი	208,586	210,102
პერსონალის ხარჯები	46,953	37,842
გოლფის მოედნის ხარჯები	79,063	169,786
ადმინისტრაციული ხარჯები	124,327	55,589
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები		39,434
საკომისიო ხარჯები	999,168	255,170
ცვეთა და ამორტიზაცია	342,147	337,471
საგადასახადო ხარჯები	21,254	22,653
სხვა საერთო ხარჯები	45,237	26,350
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	3,304,469	2,479,390
	0	0

16. სხვა შემოსავლები

სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო

	2021	2020
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	(10,148)	(8,873)
სულ	(10,148)	(8,873)
	0	0

17. პირობები და ვალდებულებები

კომპანიის ხელმძღვანელობა საკუთარი შეფასებისა და შიდა პროფესიული რჩევების საფუძველზე მიიჩნევს, რომ მატერიალურ დანაკარგებს არ ქონია ადგილი და შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღნიშნულა არავითარი დებულება ამასთან დაკავშირებით.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებებსა და ცვლილებებს, რასაც ადგილი შეიძლება ზშირად ქონდეს. კომპანიის მენეჯმენტის მიერ განხორციელებული ასეთი ინტერპრეტაცია შესაძლებელია შესაბამისი ორგანოების მიერ ეჭვქვეშ იქნას დაყენებული. საქართველოს საგადასახადო ორგანოებმა კანონმდებლობისა და საგადასახადო შემოწმების ინტერპრეტაციაში შესაძლებელია უფრო დახვეწილი და საიმედო მიდგომა განახორციელონ და შესაძლებელია რომ ისეთი საქმიანობის და გარიგების სახეები იქნას გამოწვეული, როგორც წარსულში არ ქონია ადგილი. შედეგად შეიძლება შეფასდეს მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და ინტერესი.

მენეჯმენტი მიიჩნევს რომ მისი ინტერპრეტაცია შესაბამისია კანონმდებლობასთან და კომპანიის საგადასახადო, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიციები შენარჩუნებული იქნება. შესაბამისად, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პოტენციური საგადასახადო ვალდებულების არარსებობა არ დაფიქსირებულა (2020 წლის 31 დეკემბერი: არანაირი ვალდებულება)

საინვესტიციო ვალდებულებები

კომპანიას არ აქვს საინვესტიციო ვალდებულებები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2020 წლის 31 დეკემბერი მდგომარეობით: ნოლი).

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების არე		31-დეკ-2021	31-დეკ-2020
ურთიერთობის სახე	დაკავშირებული მხარეების ბალანსი	დაკავშირებული მხარეების ბალანსი	
სავაჭრო მოთხოვნები			
-	-	-	-
სავაჭრო ვალდებულებები		1,144,677	1,158,722
შპს " პრიმერა გოლფ ენდ რეზიდენს"	სხვა დაკავშირებული მხარე	1,144,677	1,158,722
სესხები		0	0
-	სხვა დაკავშირებული მხარე	0	0
სრული შემოსავლის ანგარიშგების არე		2021	2020
ურთიერთობის სახე	დაკავშირებული მხარეების ბალანსი	დაკავშირებული მხარეების ბალანსი	
შემოსავლები		1,440,000	1,440,000
შპს " პრიმერა გოლფ ენდ რეზიდენს"	სხვა დაკავშირებული მხარე	1,440,000	1,440,000
ხარჯები		999,168	215,031
შპს " პრიმერა გოლფ ენდ რეზიდენს"	სხვა დაკავშირებული მხარე	999,168	215,031

სხვა დაკავშირებული მხარეების
ტრანზაქციები:

მენეჯმენტის ანაზღაურება	2021
-------------------------	------

ხელფასები და სხვა მოკლევადიანი სარგებელი	528,356
---	---------

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.